

ს რ ი ლ ი

№15 (160)

საზოგადოებრივი-ლიბერალური ჟურნალი

26 ოქტომბერი

1134
2000

ფასი 50 თეთრი



15

2000

ჩემთან თუ მოხვალთ,
ჩუმად, ფესაკრეფით მოდით.
რომ ღმერთმა არ ქნას,
გაიბზაროს ჩემი მარტოობის
მეიფე ფაიფური.
სოკრატ სეფეკერი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური
ასოციაცია "პრილი" გამომცემი

პრილი - დასაცემებელი სისწმინდეთა(ნი)
საზღვან-საბა

პრილი - შიხა შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული პენს
განმარტავთი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადიგან შამანაძე

სარედამცვიო საბჭო

მალხაზ ხარბედია

(მთ.რედაქტორის მოადგილე)

ლევან აბაშიძე

ია ანთაძე

ირმა არჩუაშვილი

ანდრო ბუაჩიძე

ნოდარ ებრაღიძე

თამაზ ვასაძე

ნინო ზურნაშვილი

დათო თედორაძე

ზაზა თვარაძე

ზურაბ კვიციანი

ვახტანგ კომახიძე

ვასილ მალღაფერიძე

დავით ნინიკაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი)

ზვიად რატიანი

ირაკლი სამსონაძე

სოზარ სუბელიანი

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაზა ჭილაძე

ბესო ხვედელიძე

დირექტორი

მიხეილ ჩიტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;

ფაქსი: 98-67-90;

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: პ. ინგოროშვილის ქ. №5

ფურცელი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№15 ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი, 2000

გამომცემის ორ კვირაში ერთხელ

ლიბერალური

თეგურ ჩხატინანი

ლექსები.....1

ბასა ჯანიაშვილი

"მერე".....2

ლევა სამინაშვილი

ლექსები.....5

ირანულ-ქართული მონახიბი

ალექსანდრე გავახარია

"ვისრამიანი" - ქართული მთარგმნელობითი
ოსტატობის მწვერვალი

7

საპარული პოეზიის ანთოლოგია

9

მეოცობა დილანო დოღუშანი

ირანულური და ბერძნული "შანაშესა"
და "ილიდას" მიხედვით

12

აბდულ რაჰიმ აჰმადი

შექსპირის "მაკბეტის" საპარული თარგმანის წინათქმა.....17

საპარული პოეზიის ანთოლოგია.....19

გოლი თარაში

სახლი ზეცაში.....20

სოკრატე სოფარი

ლექსები.....26

საპარული ანდაზები.....28

ფიჩხის შიგაროგვარის ვაჟი და

მელა ბარაზჯანი. ზღაპარი.....29

ხილოვნება

ოქტავიო პასი

ენა და აბსტრაქცია.....32

ხათუნა ხაჯულიანი

გამოსახულებების კრიზისი და
ნეოკონსერვატორული მარგინალიები

33

ლევან აბაშიძე

"მითოლოგია"

35

უპლაცინტიკა

ვასილ მალღაფერიძე

დეკლარაციებისა და კორუფციის შესახებ.....36

ზაზა ფარაშვილი

შემოდგომის ნობათი

39

თეატრ ჩხვიანი

1134
2000

საიდანაც ასეთი მოვდივარ...

ნუთუ იმ არაფერი ხდება?

როგორი მშვილია ცა;
ღმერთო, რამდენი ვარსკვლავია
ამ ლამაზ ცაზე!...

დიდნი,
მცირენი,
მჭუტუაენი თუ
მოკაშკაშენი -
ყველა თავისას ციმციმებს და
ერთნაირად ჩუმად არიან.

ნუთუ იქ არაფერი ხდება?
ნუთუ იქ ყველაფერი გარკვეულია
და ყველამ იცის
თავისი ადგილი?

ათვლის წერტილი

შენ აღარა ხარ...
აღარა ხარ თურმე უკვე დიდი ხანია
და მე შემთხვევით გავიგე ეს;
სულ ახლახან გავიგე და კიდევაც მიკვირს,
რომ არაფერი მოხდა ჩემში
და დღეც იყო უცნაურად ჩვეულებრივი.

იმ დღისითაც სახლში ვიყავი,
ნაშუადღევს სადღაც წავედი -
ისე, ცოტა ხნით და არაფრისთვის.
ესაუბრობდი, ვიცინოდი და არ მრცხვენოდა,
რომ სწორედ იმ უაზრო დილას
გავიგე მე შენი ამბავი.
გალიარებ:
თვალზე ცრემლიც არ მომდგმომა.

შენ აღარა ხარ...
მე არ ვცდილობ თავის მართლებას.
ვიცი, ახლა სხვა სიტყვებით
უაზრობაა ესეც, მაგრამ...
ისე, როგორც ერთ მდინარეში,
ერთ მწუხარებაშიც ვერ შეხვალ მეორედ.
ვერც მე შევედი,
შენ და ჩემი ის ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი
მეორედ ვერ გამოგიტირეთ!..

შენ აღარა ხარ...
დრო მიდის და გვიანდა ვხვდები,
რომ მოხდა რაღაც:
დაუნდობლად აიშალა ჩემი წარსული
და თითქოს ამ წარსულიდანაც
თანდათან ქრება ის ადგილი,
სადაც მე შენ მეგულებოდი:
სადაც დაგშორდი,
საიდანაც სულ სხვად ვიქცევი,

არაფერი

აღარა აქვთ სალაპარაკო.

საპატენტაციო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ აღარა ხარ,
შენს საფლავს კი დღესაც აკლია
ჩემი ცრემლები;
ჩემი ხელით მოტანილი
ყვავილიც აკლია.

იწლისი

მძინავს ღამით ძალიან ცუდად
და მძინავს დღისით - ორიოდ საათით.

სიზმრებსაც ვხედავ. ვხედავ სიზმრებს,
როგორც წესი, შავ-თეთრს და მსგავსსოუფეტანის:
ვეძებ ვიღაცას, რაღაცას ვეძებ,
ხან თოვლიან შარას მივეყვები,
ხან მატარებლის სარკმელთან ვზვიარ;
მივდივარ სადღაც, ვერც მივდივარ
და მეღვიძება გაოფლილს და გულანქარებულს.

სიცხის ბრაღია? შეიძლება. ძალიან ცხელია.
მესამე თვეა წვიმას ვნატრობთ აქ და - ამაოდ.
აქ, ერთი სოფლის ერთ უბანში
სასმელ წყალსაც ვეზიღებთ კარგა შორიდან,
პრივატიზებულ ღვინის ქარხნის ჭაბურღილიდან,
ვეზიღებთ ურიკებზე დამაგრებულ რძის ბიდონებით
და უსიამო რაზნახს იმის საუბნო გზაზე დილა-საღამო.

დილა - დილაა. ნაშუადღევს კი უხალისობა
ხდება ზოლზე ყოვლისმომცველი.
როცა სიცხისგან ფიქრი ისე გილღვება ხელში,
რომ აღარ იცი რა უყო მას - ფორმადაკარგულს;
შენც იღვწებები და ჩათვლამამდე თუ მოახერხებ,
იღიმები: ესეც სისეტა!

საღამოობით შეიმჩნევა გამოცოცხლება.
საქმარისაა კარგი ჩრდილი და ნიაფის წამოქროლება,
რომ სახლებიდან გამოეფენით.
ოღონდ მერე, ასე ერთი საათით, ვიდრე
გზად ნახირი ჩამოვივლის და შეხინდდება,
ცარიელდება ისე უბანი:

ფილმის დრო არის. კვლავ გრძელდება ტელევიზორი.
მიმდინარეობს რაღაც სამხრეთამერიკული
სისუფელის რომელიღაც სიზმარ-სერია.
დენი არ არის? - მეზობლებთან,
12-ვოლტან და პატარა ტელეეკრანზე...
არ ეუბება ჩვენი ხალხი ენერგოკრიზის!

დაიპ, დროებით ცარიელდება
საუბნო გზა ქალებისგან და ბავშვებისგან.
მხოლოდ აქა-იქ თუ შეამჩნევთ: სხედან კაცები,
ეწევიან უხარისხოს, იაფფასიანს,
იქნებ კიდევ ამბობენ რამეს,
მაგრამ ცხადია,
არაფერი აღარა აქვთ სალაპარაკო.

ბანა ჯანისაშვილი

“მერე”

გუმინ ლაბით საბოლოოდ დავადგინე, რომ გამიხარდა. პირველ რიგში, გამიხარდა, რომ მიხარია; შემდეგ გამიხარდა, რომ მიხარია სიხარული. სიხარულს - აგერ უკვე დილაა და მინცა ვგრძნობ, თუმც კი დამაზივყდა რატომ გაიხარე, მაგრამ მინც მიხარია.

აფდვი, ხელ- პირი დავიბანე, წყალი დავდგი, რომ ცხელი ჩაი დავლიო და მიკრო ტალღების მარნუბებში საუზმე გადაცხელე. მიხარია...

გემრიელად მივირთვი, სამსახურში წასასვლელად მოვეშაბე, შეილს თბილი მზერა გადავკვლე, ცოლს დატკეპნილ ბალიშზე რომ თავი დაედო - ვაკოცე და მიყვარხარო ჩავეწურულე. მიხარია...

კარები ჩუმად გაავალე და უფრო ჩუმად მოვიხურე. სადარბაზოს მალალი სართული ფეხით ჩავიარე, ლიფტს არ დავლოდებოვარ, შემდეგ გაჩერებაზე სამარნუტო ტაქსი გაეაჩერე, ბოლო რიგში ადგილი მოგნახე და ვიგრძენი, რომ კვლავ მიხარია.

სამარნუტო ტაქსით მგზავრობას ერთი თვისება აქვს. წინასწარ ვერასდროს გათვლი, რა დრო დაგეხარჯება, უცილობლად ან ადრე მიგიყვანს - ან გვიან.

წელიწადნახევარია ბანკში ვემუშაბ. ამ ხნის მანძილზე კვირაში სუთი დღე წინ და უკან, წინ და უკან, სახლიდან სამსახურში და სამსახურიდან სახლში - გზა დავიმასხორე. გაზაფხულის დადგომისას ჩვეულზე ადრე ვიღვიძებ და ბანკში ფეხით მივდივარ. ზუსტად ვიცი რამდენი წუთი უნდა სახლის კარების მოხურვიდან - ჩემს მაგიდამდე. ერთი პირობა ნაიფების დათვლაც დავიწყე, მაგრამ ტუჩის კუთხეში რომ წინის ფანჯრებს ავხედავ, თვლა მერევა. ფეხი მერევა. წინი ჩემი თანამშრომელი...

აი, ამ სამარნუტო ტაქსებს ვერაფერს გაუგებ. სუთი-ათი წუთი ყოველთვის ემუშაბ. როგორც წესი, შუშლა ყოველთვის ჩემდა სამუნაროდ ხდება. თუ მაგვიანდება, მანქანაც იგვიანებს, თუ ჯერ ადრეა - ტაქსი ისე მიფრინავს, ვეგონება ცოლმა ეს უნდა შეტყობინოს, სო-სოში დავბრუნე და შენმა “აკოსმოსის” ქარხანამ კაცი აურჩია, ვე სასწრაფოდ ჩამომიყვანდა, უმაგისოდ მუშაობას ვერ ვიწყებო; ქარხანა გაჩერებული მყავს - დირექტორს შემოვლოცა - იმპორტიორები მასწრობენ და ექსპორტიორებიც მასწრობენ, საქონელს იიხივენ და არ ვიცი მე - დროზე ჩამოდიო; გეგონება მძლოლის ცოლს უთქვამს იმ ნაწერენი გაცისთვის, რომ მიბობლური არა აქვს და რამეჩარად, ჩემი ქმრის მეგობრებს დავურეკავო და დაურეკვას ამის ცოლს მძაკვისთვის და ძმბიჭმაც საკუთარი “რაფის” ფანჯრიდან სივთაგამოყოფოლად შუქნიშანზე დგომისას შესაბა ეს ამავე და ჩემს მძლოლმაც ამიტომ ეჩქარება თურმე.

შოდა ეს ამავეც იმით დამთავრდა, რომ ათი წუთით ადრე მივედი და მეც გამიხარდა. ოფისში შევედი და კი ვიფიქრე ერთი პირობა: ადრე რომ მივედი იმისი მიხაროდა, თუ წუხელ ლაბით რომ გამიხარდა - იმისი?

ჩემი ოფისი ყველა ოფისით თვითარა. ჩემი მაგიდა ყველა მაგიდასავთი შვია და ჩემს ოფისში მე და ბოსის გარდა ყველა მანდილოსანია. მეტნაკლებად სასამოფონო გარეგნობის.

წინა? წინა შევეგრემანია, როგორც ყველა ქართველი, რომელმაც ინგლისური საზღვარგარეთ ისწავლა. წინის აქვს ფანქაროვით გრძელი ორი ფეხი და ყოველთვის იცვამს ფანქრის სათლელეთი მოკლე კაბას. სხვა რა აქვს წინის ვერასდროს ვიმახსოვრებ. აი, როდესაც სამსახურში წინი თავს შემახსენებს, სულ წინის ფანქრებზე ვფიქრობ, სახლში კი წინი თუ გამახსენდა - ვერ ვიხსენებ. ვერაზობ, რომ თანამშრომლის ფეხები და მოკლე კაბა მასხლავს და პირობას ვდებ, რომ სამსახურში მისვლისთანავე წინის დავიმახსოვრებ, შეუხედავ მის ტანს, მკერდას, სახეს ბოლოს და ბოლოს, მაგრამ არ გამომშინა. კიდევ ერთი მანდილოსანია, რომელიც ინგლისელია



და ქართული ეხერხება. საუკეთესოებს დასავლეთი ჩვენთან არ აგზავნიან, - ამბობენ, - თავისთვის იტოვებენ...

ემში კონსულტანტია. მისი კონსულტაციები სწორად ყოველგვარ ზღვარს სცილდება და რა თქმა უნდა - მომბეზრებელია. ემში ნამდვილი უცხოელია. შინი პირობებში არ აინტერესებს და არც თავისას გეტყვის. არსა-მეშუაო საათებში მასთან ურთიერთობის ერთადერთი თემა - პრიმიტიული მოგონებებია - რაც უნახავს ტელევიზიით და უფრო სწორად რაც წაუკითხავს. სცვის მონაყოლს არასდროს მოგიყვება, ალბათ იმიტომ, თავის თავის გარდა არავისი სჯერა. ალბათ იმიტომ, რომ არავის უსმენს და რაც მთავარია - იმიტომ, რომ უცხოელებს საერთოდ არ სჯერათ მონაყოლების. მათ მხოლოდ უნდა ნახონ ის, რისი ნახევაც უნდათ. თუ არ აინტერესებს - არ აინტერესებს და მორჩა. თავად კი მოგიყვება იმას, რაც ჩვენ, საბჭოთა სახლმა დაბადებიდან ვიცით...

...ვიცი, რომ მთელი მსოფლიო ომი მიტლერმა დაიწყო, ვიცი, რომ პირველი კოსმონავტი რუსი იყო და თურმე კოსმოსში უშუალო სივრცეა და კოსმონავტების საქმელი კიბლის პასტის მსგავს ყალიბებია ჩასხეული, ვიცი, რომ ჩინეთში ყველაზე დიდი ვეგანი, ბერლინის კედელზე გატყობილი დიდი და რომ ათი შევარდნა-ძე რომ გაგზავნო, მანც ვერ დაანგრევს, ვიცი, რომ თურმე ბერძნები დიდი კულტურის მემკვიდრენი არიან.

ვიცი, მაგრამ ხომ არ ტყვი? უცხოელია ბოლოს და ბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ მათთან სტუმრად რომ ჩახვიდე, ვიზას ამ მოცემენ თუ შეილა არა გყავს.

ბანკში საინტერესო ფულია და ისიც სხვისია. თუ ბევრი სამუშაო გაქვს, ყველაფერი აზრს კარგავს და შენც მათ შორის. დღესაც იმდენი საქმე მქონდა, რომ სახლში ერთხელაც არ დამირეკავს, არ მომიკითხავს ოჯახი. სალაშოს ექვს საათზე, სამუშაო დღე რომ მთავრდება, როგორც წესი, შინ მივდევართ. დღეს ასე არ მოხდა. იშვიათად, მაგრამ დიდად ხოლმე, რომ ვგრეთ ნოდებულ ოვერ თაიმზე გვიწევს დარჩენა. ხელფასი ამ დროს ორმაგდება, მაგრამ ვაი ამ ხელფასს. როდესაც მიიხრეს, ღამის ორამდე უნდა დარჩეო, პირველი ვივრეც, არ გამხარე-



ბოლა, მაგრამ მოულოდნელად ისე გამიხარდა, ცას ვენცი სიხარულით!

პრიტანელმა ემიმ საქციელი შემოიქო და მითხრა, რომ შენს სიხარულს გავითვალისწინებთო. უზუსტად ასე მითხრა - შენს სიხარულს გავითვალისწინებთო. ჩემმა უფროსმა გაუფუჭებული კაცი მიჩრდა და მითხრა, რომ ემისთან მაინც არავერი გამოვივლიდა.

სახლში გადავჩვიე და მუელუსს სასიხარულო ამბავი ვაუწყე. ცოლმა სიხარული ვერ გაიზიარა და მითხრა, ბავშვი იკვიანებს, სკოლიდან არ დაბრუნებულაო. საერთოდ არ ყოფილა სკოლაშიო.

მე კიდევ სკოლაში თუ არ ყოფილა, როგორ მოვივლიდა-მეთქი და ყურმილი დავკვირე. რა მიხაროდა, არ ვიცო, გუშინ ღამის აქეთ ყველაფერი ისე აუწყო, რაღაც ნარიაო...

შინაგანად, ვგრძნობდი, რომ ბავშვი თუ სკოლას აცდენს და სახლში იკვიანებს, გასახარი არავერია. ამას ვგრძნობდი, მაგრამ თან ისე მიხაროდა, ისე მიხაროდა, ისე, რომ არ ვიცო...

რამდენიმე წუთში ოფისში მხოლოდ მე და კონსულტანტი დარჩითი. ემიმ სხვისი დარჩენა არ ისურვა. მიხაროდა, რომ ყველას გასაკუთებულს მე გაგაკუთებდი, მიხაროდა, რომ შვილი სახლში იკვიანებდა, რომ ცოლს უხეშად მიუვდა, რომ ახლა ემი ისე მასწავლიდა ჭკუას, გავკეთილი დიდხანს მსმობემოდა. თერთმეტისთვის ცოლმა გადმოიწკა და ბავშვი სახლში არ მოსულაო, ვეძებ და ვერ ვიპოვეო, სად არისო, ვნერვიულობო და თითქმის დარწმუნებული ვარო, რომ რაიმე შემთხვევაო. მე კი ცუდი რომ მოსვლიდა რაიმე, პირველი შეიტკობდი-მეთქი და ატორდააა. სახლში მოდიო, გული ცუდს მიგრძნობსო, მარტო ვარო და მეშინიაო. ეს მიხიზრა და მე რის თქმას ვაპირებდი იცი? რა გატყობს, ნეტავ მე ვიყო სახლში, ბავშვზე ვნერვიულობდე და აქ ყოფნა არ მიხაროდეს-თქო, მაგრამ არ დამცდიდა. ემის ხელი ვიგრძინე. თითქოს თავს მუხანსო, თემეს მქაჩავსო და როდესაც ვეფხვე სველი ტუჩები ვიგრძინე, მომეჩვენა. რომ გრავი დრავილა ვხდებოდი. ემიმ პერანგი შემხისნა, ჰალსტუხით დამქანა და მე და ემი და ჩემი ცოლი ოფისის რბილ იატაკზე ამოვიწვდი.

ძირს განოლილს ოფისიც, ემიც და ჩემი ცოლიც სხვანაირი მომჩვენა. იატაკზე განოლილს ყველაფერი ასე გუჩქენება: შენ ხარ საინტერესო, შენ ხარ ეპოქალური, შენ რომ წერა არ გუზარებოდას იწვებოდი მთელი ცხოვრება იატაკზე და აღწერიდი მთელს ცხოვრებას, შენ რომ იატაკზე წოლა არ გერიდებოდას, სამახაურიდან ქუჩაში, ქუჩიდან სამარშრუტო ტაქსში, ტაქსიდან სადარბაზოში, სადარბაზოდან სახლში სულ გორაკიდან მიხვიდოდი.

ტელეფონში ვერაფერს გემტყვიო - ტიროდა ჩემი ცოლი, მარტო ვარო, მეშინიაო და ტიროდა. ემი ახლა შარვალს მიხისნდა. ცოლს უფთხარი, რომ ბავშვი ცოცხალი იქნება-თქო, მან კი ტიროდას უმატა. ემიმ თასმები შემხსნა და ფესსაცმელი გახაზა. როგორც ყოველთვის ასეთ სიტუაციაში ან წინდა უნდა გეტყვას გახერტილი, ან საცვლები ჭკუჭკანი ან საერთოდ ერთი კვირის დაუბანელი იყო. ცოლს უფთხარი, ეს წინდა რომ დასაკეცია არ უნდა დამიკეცხო-მეთქი? ემიმ მანიშნა საუბარი განაგრძე, არ დაკიდო ყურმილიო და საქმეს შეუდგა.



მე რომ იატაკზე წოლის ფასი მცოდნოდა, გეტოხებო, ოდესმე თუ ავადგებოდი? მე რომ იატაკზე წოლის ფასი მცოდნოდა, ვიქნებოდი ახლა ბანკის ოფისში გამომსწვდიდენ? მე რომ იატაკზე წოლის ფასი მცოდნოდა, რამდენ რამეს მოვასწრებდი?

...ვიქნებოდი ძალიან მაღალი, კალათბურთელვით მაღალი და წელში განართული, იმიტომ, რომ კალათბურთელები არასდროს ვაჩანან. ისინი დაბნობენ და წელში იხრებიან. პო, ვიქნებოდი ძალიან მაღალი, მექნებოდა ნაბალისფერი, მოკლედ შეჭრილი თმები, ოდნავ ფერმკობილ სახით, იმიტომ, რომ ტექნიკური მოვისმინე, რომ ქალები თურმე მოსწონენ ფერმკობილსადაცაა, მაკაცები. მე რომ იატაკზე წოლის ფასი მცოდნოდა, აუკლებლად, ყოველმიზეზგარეშე მწვანე თვალები დამიმშვენიდა მზერა. მწვანე, გადასარევი თვალები, გრძელი ნაწამები და ჩემი გამოსვლა იქნებოდა ღრმა და ფიქრისა და სვედიანი. იმიტომ, რომ სვედიანი დამიანი, რაღაც უხილავ პრიორიტეტს ფლობს სხვებთან შედარებით.

მე რომ იატაკზე წოლას მაცდიდენ, გამოვიდოდი კონორევიზორი, ან მასობითი, გადავიდოდი ბევრ ფოლმს და ვიქნებოდი ცნობილი ადამიანი. მე რომ იატაკზე წოლას მაცდიდენ, ვითამაშებდი ჰამლეტს. დაფინანსავდი მამაჩემის არღლს და ბიძაჩემს ყურში მარლს ჩავყაროდი, დედაჩემს შვიტოხებოდი და ოფელისა დავაფეხმობდი. ფინალში კი ვიჭკოდი, რომ ეს ჩემი შვილი არ არის მეთქი. მე რომ იატაკზე წოლას მაცდიდენ, რამდენ რამეს მოვასწრებდი?!

ოფისიდან გიციობთ გავვარდი. გული სიხარულით მეცსებოდა, რომ ცოლმა ყველაფერი გაიგო, რომ ბავშვი დაეკარგა. ტაქსი გავაჩერე და ამასობაში თოვლი არ ნამოსულამ ის სიახლოვე გრძობს, მოსულას ელოდები, დადედა გინახია, სითოური გამშვებდი, სიცივე გებზრდებდა და მაინც, ყველაზე გემრიელი სირყეფა.

საინტერესოა, რას გრძნობს თოვლი მოსვლისზე? რა აზრები აწუხებს, რას ფიქრობს? ალბათ ამბობს, მოდი მოვალ, ვნახოთ მერე რა მოხდებაო. შოდა მოდის და მოდის. აღარ მერტებდა. შემეფე ავირყვებდა, რომ მოვიდა და არის ასე დაფანტული, დადებული და გაყურებული.

ტაქსის სადარბაზოსთან გაჩერდა. სიხარულით დავაჭრე ლიფტის ხილაკს თითი და დაველოდი. თოვლი რომ მოდის, ხდება ასე გმონია, რომ ძალისხალათი მოდის. თითქოს სიცივემ დაავალა, შენ მანდ წაიდი, დადე, მერე ორშაბათს გამოიარე და ვნახოთ, რამეს მოგხივრებო.

სახლში გახარებულმა შევაბიჯე. იქ არავინ ამხვდა. მისაღებში, მაგადაზე წერილი შევნიშნე. ცოლი მწერდა, რომ არსებობს განსხვავებული პროფესია, როდესაც პროფესიონალი პროფესიას შვავს, როდესაც ადამიანი სამსახურის ემგავსება, როდესაც პროფესია ჭარბობს სხვა მოთხოვნილებებს და ადამიანი მხოლოდ თავის საქმიანობას მოსწონს. ცოლი მწერდა, რომ ჩვენში კლასიკური მუსიკის სპეციალისტებმა საპორტეტსო კლასი მოაწყვეს და იხოვდნენ ნოტების დაბრუნებას. ახალი საკუნების მიჯნავს კლასიკური მუსიკის სპეციალისტებს სიძველის სუნი ახლითო - მწერდა. თითქოს ნაფტალინის სტეული და ჩრჩილის სუნი აქეთო. მათი ყოველი ნაბიჯი გაუბნდავია და გეგონება მინა ფეხქვეშ ეცვლებათო.

ასეთი პროფესია და განათლება ჩემთვის ხელისშემშლელია და იქვე მიუწერია პირითი კი უნდა იყოსო. წერილი მთავრდებოდა სიტყვებით: ეს ის მომენტია, როდესაც ინტელექტი სჯობნის სხვა დანარჩენსო.

მეტად მიხიდა, რომ არ გამხარებოდა. რამდენიმე წუთი თავი ხელში ავიყვანე და ვცდილობდი, რომ მწუხარება მწვეოდა. ვცდილობდი, რომ გავზარბეზულიყავი, გავცოფებულყავი. მთელი გულით მივისწრაფობდი ამისკენ, მაგრამ საკმარისი იყო სახლიდან გამოსვლიყავი, ისეთი სიხარული ვიგრძინო, სირცხვილსაც მალოვლად მიმოვიხედე, ხომ არავინ დამიხანა მეთქი. კარები ჩაკვეტი თუ არა, სახლიდან ტელეფონის ზარი შე-

მომხმამ. შინ წვეგრუნდი. ტელეფონის ყურმილს ვუპასუხე და იქ წვეგრუნდი ზუმერი დამხდა. ახლა ვიცი და ვიცი, განიხარდებოდა თუ არა. ტელეფონის ხარი განმეორდა. ყურმილი ავიდე. ხმაურიანი სუნთქვა მომესალა და შემდეგ ყურმილი დაკვიდა. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. ვიდექი და ყურმილს არ ვივლედი. ვილაც გამალეღი მქოლდა. მე კი არ ვპასუხობდი. კარგია, რომ ახლა მე შემიძლია მასზე ზეგავლენა ვიქონიო. ბოლოს ყურმილი წამოვნიე და ხელი გავუშვი. ხარი განმეორდა. ყურმილი წამოვნიე და ხელი გავუშვი. ხარი განმეორდა. ყურმილი წამოვნიე და ხელი გავუშვი. ხარი განმეორდა. შემდეგ გამახსენდა, რომ თორმეტი სრულდებოდა, მარტო ვიყავი და კიდევ ერთხელ გამახსენდა.

გულისგამანვრილებელ ტელეფონის ყურმილი ავიდე და ვუპასუხე. ნინო მივეციკავდა. გრძელფეხები, მოკლვაკებიანი ნინო. შუნი ბავშვი ჩემთან არისო, მიიხარა. ჩემი ცოლი ფეხები? □ გავუვიკვრდა.

გაზში გაბვარზდი, რომ ბავშვი არ მიძებნია, არ მიწერეულია და რომ ყველაფერი ასე უცნაურად აეწყო. კარი ნინო გაიღო. ხელში "გრეკლა" ჭერია და მიიხარა, ასე ვთბებოდა. ოთახში შემოდე, ტახტზე დამაწვინა, ცხელი ჩაი მიმართვა, ფესვსამელზე თასებში შემოსენა, გამაზა და გაიცინა. შუნი წინდების ამბავი ემი მომიყვალა.

მე ნინოს ვუთხარი, რომ დახეული წინდები არასდროს ძებნა, რომ მაინც და მაინც დღეს ჩაივცე შემთხვევით, რომ რა უხერხულად გამოიხედა, და ძალიან მიხარია მარტონი რომ ვარი და ჩვენს სიყვარულს ხელს რომ ვერავინ შეუშლის, რომ მე ნინო თითქმის მიყვარდა.

ნინო ტანთ გაიხადა და ახლა უფრო გრძელი ფეხები გამოჟონდა ნინოს. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ არის ნინოს ორი ძალიან გრძელი ფეხი და ნინოს თავი. შემიდე ეს ფეხები რომ მოვიდა ძალიან ახლოს, ისე ახლოს, რომ თავიც არ ჩანდა, ძალიან, ძალიან გაიხარა და სიხარულით ვიყვირე: სად გინახავთ ქერათმანი ინსექტორი, ყველა ინსექტორი მსავეგრძნობია და ტარაქებსა შვეპანან, ჯოხიან ტარაქებს, მიელი დღე რომ ასფალტს ხეხვენ და სანაცვლოდ არაფერს იხიბვენ, პირიქით, თუ არ დაარღვევ, გაგაბრუნებს, ხან თა ლარს ჩავიდებს ჯიბეში, ხან თუ ლარს ჩავატყობ, მადლობას მოგიხდის და გავაგუებს-მეთქი. ძალიან სხამაძალა ვიყვირე. ნინო კი არ ჩანდა. ეს ორი ფეხი ხან გალურჯდებოდა, ხან გაწითლდებოდა, დაბიალნებოდა და შემდეგ ისევ გაიწმინდებოდა. შიგადაშიგ ნინოს თავი მომიახლოვდებოდა, არაფერს მეტყუოდა და ფეხებში დაიკარგებოდა. შემდეგ შევნიშნე, რომ ნინოს მესამე ფეხი გაბორზილია, ეს მესამე ფეხიც არანაკლები სიგრძისა იყო. დრო არ მჩრქებოდა, თორემ დავაკვირდებოდი, შეიძლება, სადღაც ოდნავ გრძელიც ყოფილიყო. სად იყო და სად არა, ნინომ მეთხებე ფეხიც გამოიჩინა და რამდენი ფეხი გაქვს რომ ვითხებ, ჯერ სად ხარი, მიიხარა.

როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ტახტზე მხოლოდ მე და ნინოს ორი ფეხი იდო. წამოვნიე. ნინოს ფეხები არ იძრებოდა. ნინო, ნინო-მეთქი, დავეყვირე, ვითომც არაფერი. ეს ორი ფეხი... ერთი იქით, მეორე აქით. მარჯვენა ფეხს გასართულები ვუყვებ. გავიანამდე და შევანფლრიე. ბოლოს ხელი მოვიკიდე და წამოვნიე, გამოვარჩე. აააა?! ახლა მარცხენას ვეგმართე. ფეხი ავიცი არც ისე მძიმე მომეჩვენა. ფეხია, რა! ხომ გჭყირია ქათმის ან თუნდაც ინდურის ფეხი? ზუსტად ისეთი შეგრძნებაა. თუ წარმოიდგენ, რომ ოდესღაც ეს ფეხი დადიოდა, Fფიქრობდა, განიცდიდა, ბუფდებოდა, სტკოიდა, უხაროდა, შიოდა, წყუროდა, ციოდა და ზაფხულში სცხელიდა. თუ ამას წარმოიდგენ, ხელში მხოლოდ ფეხი შეგრძნება. ფანქარიც გრძელი ფეხი.

უკვე შემდეგ, შინ მიმავალი ვეჭირობდი, რომ ასე გრძელი ფეხები არ ვარცა. ნინო კი არა, ცარიელი ფეხია. ბევრი არაფერი არ ვარცა, მიიუფლებს ფეხები.

რა მიხაროდა, არ ვიცი. ნინოს საღარბაზოხან ჩემს სახლამდე ოთხი ათას სამოქალაქიანი ნანიჯია. რამდენიმე წუთი მქონდა გამეანალიზებინა დღევანდელი დღე. ეს სისარწმუნო ისეთი რამეა, თავს და ბოლოს ვერ გაუტყბ. რატომ წამოვიდე მარცხენა ფეხი, არ ვიცი. ნინოს ატანა მომერიდა, სწორად ვერ გაგიტყდნენ. ხის ქვეშ ცელოფის ნაგვის პარკებს მიუვდიე და საღარბაზოში შევედი. ლიტები ავიდე. დღემე ერთხელ, თუნდაც პრინციპის ხათრით, ხომ უნდა ისარგებლო ლიტებით?

შინ შევედი და მისაღებში, მაგიდაზე ჩემი ცოლის მეგობარი ნინო დამხდა. იგი მწერდა, რომ ყველაფერს მართებს და მისაც ხელი სახეა შეკავს ჭეშმარიტი რწმული. ჩემს ცოლმა და მისმა საყვარელმა ბავშვებ მოიხანს, და რომ დღეს იგი სახლში არ მოვა და საერთოდ არ დაბრუნდება. ბავშვს ისინი ერთად გაბრუნებენ და მისი ნახვაროცა მომიხედება, მაშინ შემიძლია. ჩემი ცოლი არაფერს ნანოს, პირიქით, იგი ბედნიერია, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა, ცვილიზებულადა.

კარი პატარა ბიჭმა გაიღო. იქნებოდა ასე. ორმოცამდე. ბიჭი დაბალი იყო, გაბურძნეული. შავი თმები უხარბაზო სათვალურზე ეყრებოდა და მარჯვენისაკენ თავის სწრაფი მოძრაობით მჭერას ითავისუფლებდა. სახეს ქუთუთოდან ხორხამდ იპარსავდა ალბათ, რადგან დილით გაპარსული წვერი არ უშვამდეს უკვე თვალვითან წამოზრუნდა. მოკლე სახელებიანი თეთრი მაისური ეცვა და სპორტული - ჭმას ზემოთ შეკრული შავვალი. წინდები მთელი ეცვა, თუმცა ფეხსაცმელი გვარიანად შელახულიყო. ცხვირში სხამაძალა სუნთქვავდა და წესტოებიდან შავი თმები პალმის ფოთლებივით გამოშლილიყვნენ.

რომ დამინახა, გამიღიმა, მიცენ ალბათ ვინც ვიყავი, ცხვირთან ხმაურით გამოუშვა ჰაერი და შინ შემაპატა. გადიმებისას ნაკვეთად შენახული ტუჩები გემაზდა, კბილები მაინც ვერ დაეჩინა. ლაუღავა ტუჩები მეგონა თავდაყირა ამტრიალებულიყო.

აქეთ შევიდეთო, სამარჯულოსაკენ მიმიითთა და გზად მიიხარა, რომ მასზე ბედნიერი ვიცი არ დაიბრუნოდა დედობის ზურგზე. მე შევეკამათე. შეიძლება ცოტა უხეშად გამოვივიდა, მაგრამ უკან არ დამიხეცია. სუნთქვას უშატა. ყველაფერთან ერთად წერვილიც ყოვილა.

ჩემი ბევრი ვიკამათეთ, ვინ უფრო ბედნიერია: მე - ცოლი რომ გამეცქა, თუ ის - ვისთანაც გაიქცა. სადავო საკითხია, გააჩნია ან კუთხით შეხედა, როგორ განიხილა...

ვისაუბრეთო. ვალიბრე, ბევრი ახალი წესიყვე ხომ არ ვეჭვობ, რომ ამშლა კაცია და ტერის ნახვით არ დარჩენია, ჩემი ცოლი რომ მოჰყავს ცოლად? ხომ არ ვეჭვობ, რომ ყოველ საღამოს მოსწავლებლის დიდი არმია მიადგება მის ფანჯრებს და რამდენიმე საათით ცოლს მოსტატებენ, რომ დაეწიფონ მუსიკის მაგიერ შანგებს, ხომ არ ვეჭვობ, რომ ძილის წინ თმებში ნივრის წვეს ეხილავს, თმები რომ არ დასცივდება, და მშვიდი ძილი და სუსთა ჰაერი იმითათვისა გაუხეშებ? ხომ არ ვეჭვობ, რომ ღამით თმებებს ისე აკრატუნებს, კედლები ზანზარებს და თუ არ დაასწარი დაეჩინება, ღამის გათქნება მოგიჩინებს? ხომ არ ვეჭვობ, რომ სადილად ვეკრებს, ძქვებს და პოშიდორს თურქულ ზეთში შეწვავს და დაგიბრუნებ, რომ ამაზე გამერილი არაფერი გიჭამია. ხომ არ ვეჭვობ, რომ პოლიტიკაში და ეკონომიკაში მისი ცოდნა დაშვებულ ნორმებს აჭარბებს. ყველაფერს ვერ იტყვა. ასეა ძმარ, ყველა ქალი სხვადასხვა, ყველა ცოლი კი ერთნაირი.

როდესაც ჯერი ბავშვის აღზრდას შეეხა, ცოლიც შემოვიდა. ყველაზე მეტად ახლა მას უხარო-



და ბედნიერებაა, როდესაც ცოლს ასეთ ბედნიერს ხედავ!
ჭეშმარიტ ბედნიერება!

შინსაკენ მიმავალი ვისხენბდი დანგრეული ოჯახის
ბედნიერ ვიზორაფიას... როგორ შევხვდით ერთმანეთს,
როგორ ვაკოცეთ პირველად, როგორ მოვანერეთ სელი
და ქორნილში რომ წვეთი არ დამილეგია, ისიც მომა-
გონდა. ნოებრის ცივი დღე იყო, სამშობიარის ფაჯ-
რებთან ვიდექი და შვილის დაბადებას ველოდი. სამშო-
ბიარო ოთახი პირველ სართულზე იყო და თეთრად შე-
ღებილი მინის გადაღმა ფრჩხილით აფხვივლ საღებავს
ვეშებდი, როგორმე ოთახში შემეხედა და გამეყო, როგორ
იყო საქმე.

და პირველი სექტემბერი? როგორი ამავი ვიყავი მა-
შინ, ბავშვი რომ პირველ კლასში წავიდა?


ქუჩაში ფეხი დამიციდა და წავიქეცი. მარტივი ჭეშმა-
რიტებები თავზე დამეფუცქენა და ხელის გული გადა-
ვიტყავე. ზოლებად სისხლის ვინრო ბილიკები ჭიებივით
მიკლავნებოდნენ. წამოდგობა დავაპირე, რომ გამასხენ-
და, თუ რა მაკლია ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის!

მე რომ წოლას მაცდიდნენ, მე რომ წოლა არ მერი-
დებოდეს და წოლის ფასი ვიცოდე! აჰა, ესლა ვინ შე-
მიშლის ხელს? და მიმოვიხიდე. ავტომ ჩამიარა და მგზავ-
რების მზერა შევნიშნე. ლამის იყო ავდექი და შემრცხვა.
მაგრამ არა! რა მეჩქარებოდა? წამოვნიქი, რა მეჩქარე-
ბოდა? ვინ მელოდა? თითქოს გულიც დამწყდა, მაგრამ
ასფალტი არასწორადაა დაგებული და ამან გადამაფიქ-
რებინა. ერთხელ გადავტრიალდი, მეორეჯერ და გუბებს
მივადექი. ახლა მთავარია ფეხებით ტანი ისე გადავიანყო,
გადაულახავი წინააღმდეგობა დავძლიო. ბორდერიდან
ცოტა უხერხულად ჩამოვვარდი, მაგრამ მთავარია გუბებს
გვერდი ავუქციე.

ასე გორვა-გორვით ქუჩის კუთხეს მივადექი. სახლამ-
დე შორი არ არის. გადავწყვიტე შინ ასელა. ესედავ ხეს-
თან ჩემი დატოვებული ნინოს ფეხი არ დევს? ჯერაც არ-
ავის მოუპარავს. საკვირველია. ფეხი გაზეთივით დავამრ-
გვალე და ილიაში ამოვიდე. გზად ნინოს ხომ არ შე-
ვუარო, ვფიქრობ და გამასხენდა, რომ ასფალტზე გორა-
ობამ სულ დამსვარა. ვდგები და შინ მივდივარ. მინდა
დავადგინო, კვლავ მიხარია, თუ არა. კვლავ მიხარია, თუ
არა? კარგი, დავიძინებ და ხვალ მოვიფიქრებ.

ვიძინებ და ძილში მესიზმრება, რომ აღარ მიხარია.
ამბობენ, რაც სიზმარში გესიზმრება, ცხადში პირიქით
აგისდებავო. მოიცა, აბა ერთი გავილდვიო?!

პ რ ი ლ ი



ლ ე ლ ა ს ა მ ნ ი ა შ ვ ი ლ ი



მოწყენისაგან - რას აღარ ვსწაღი, -
ამ ლექსს - ხელახლა გამოვივონებ, -
ხელისგულზე რომ სახუბად ჩანდა, -
მე გადმოვიწერ, როგორც სტრიქონებს.
ეს ხელისგული - კოცონში წამწვად,
და წყალმცენარედ - ზღვაში გამოჩნდა,
მე კი ქაღალდზე - ყვავილად მომწონს,
გაღმზოხატავ და ვიწყებ გამოჭრას,
თან - მაგიდაზე - ალუბლის წვენი
სავსე ჭიქაში - ვინული მიდევს,
ლექსებით სავსე ხელისგულს - წერილს -
გადავიკითხვ კიდევ და კიდევ;
ვიგზავნი, მაგრამ არ ვიცი - ჯერაც -
ლექსით - თვალებთან როგორ დავზავდე;
ხოლო სიტკბოსი - მაშინაც მჯერა,
როდესაც მასში ვინულს ვაზავებ.

გამოიძინეს ძველმა წიგნებმა,
სიუჟეტს ფდები აირეკლავენ,
პირველად ახლა კადრი იქნება,
სიტყვა კი - მოსდევს კადრებს, რეკლამებს.
წემი ურწმუნო და გახედნილი
თვალე ეჩვევა ეკრანის ფართობს,
უფასო კი იქნებ - მართლა ხედავდა, -
როცა სიტყვასთან რჩებოდა მარტო.

სიკეთისათვის - ბორტებად შეთხზული -
ძველი ცხრათავიანი ღვეკები და
კუდიანი ღედაბრები - სათითაოდ გაიტყუა
მეზღაპრემ და გაუჟამსინძილა -
ობიანი შაქარლამებით,
შხამიანი სოკოს ღვეხულებით,
მახვილებით, ცხენის კულებით;
და სარეკლამო რგოლებში - ზოჯჯერ
კონსერვის ქილებს
მიანატავენ ზოლმე - იმით მახინჯ თავებს,
სეფილიან თვალებს და რეჯოლებთან ღმილს, -
ბავშვებს რომელიც არიობთ,
მაშინ, როდესაც - პირდაპირი რეპორტაჟი -

მე რეალურიდან მოხვედრი

სენაკის ტყიდან, -
ყანადებთან პურ-მარილით
და დასასრულს - Dirol Wite-ის
მოწამლული თითო ბალიძით, -
მაგალითია - კანონგარეშე პირებისაგან
კბილების და ქვეყნის წმენდისა.

მონათა წყველა -
სამიზნეს ხედება -
ვინ იცის - როდის;
პირამიდების - იმათმა მხრებმა -
მოზიდეს ლოდი;
დროს - თვაღში -
სადაც მტკვერი შეზავდა -
დემონიც უხის;
ფარაონის მკერდს ამოეზარდა -
თავისი კუხი.

მოსკლა

ღმერთებმა კიდევ ერთხელ გაპურდეს
ცა და იქიდან არაფერი გამოჩენილა
ოქროს სულელების საბაღოს მსვავსი.

აღამიანებს ისევ სჭირდებათ ცეცხლი
და ისევ ითბობენ ძვლებს და
ისევ წვავენ ნანადირევს გაზქურაზე -
სავაზეთო სტატეებში თავჩარგულები, -
მათი შავ-თეთრი ომებისა და მთავრობების,
და მშობლების ნეკროლოგების,
და შვილების ქორწინებების,
და ათასფერი ვნებებისა და მანქანების
ფოტოებზე დაშტერებულნი.

და პოეტებიც, - ოთახებში გადმორგული
აღამიანი - ვაშლის ხეები, -
განავრძობენ საკუთარი ნაყოფის ჭამას
და ღმერთებსაც სთავაზობენ - ძველი ღიმილით.

ეს ერთხელ მოხდა - ღმერთმა რომ ვაშლი
იგემა და სიკეთის და ბოროტების ტკივილებისგან,
სიყვარულის და მიმულვილის ტკივილებისგან,
და საკუთარი მრისხანების და მათდამი
თანაგრძნობის ტკივილებისგან - მოკვდავად იქცა.

და ღმერთებს ახსოვთ - ღმერთისა და
ვაშლის ამბავი, რომელიც გველმა
მათ უამბო დიდი ხნის წინათ.
და ვაშლებს პირს არ აკარებენ.
და ზეციდან არავინ მოდის.

ზაფხულო, შენი დღეები ტკბილი, -
დუმილისაკენ უფრო მაქეზებს;
თვალის ქუთუთის ვიდებაც კირით,
და წებოს კოლოფს ვისვამ ბაგეზე;
ქალაქს გაეჭურებ მინის ჩადრიდან,
აღარც ლეჩუბი დამრჩა სათქმელი,
ეზოშიც მარტო მაშინ ჩავდივარ, -
მენაყინეს რომ ხატავს სარკმელი.

დრო მიაქვს -
თითო ლექსის სამყოფი -
ჯინისის სარეცხს და
შემწვარი კარტოფილს;
დღეს იმსახურებს
ლექსისთვის - დაფნას -
ჩემს გაზქურაზე
დამწვარი ტაფა.

წუთი - სტრიქონზე მოკლე იქნება, -
თითებზე დავთვლი იმათ ატომებს;
ჭრელი ჩონჩხები - ლოკოკინებმა
ისევ ბალახის დერზე დატოვეს;
თავის ქალაში - ფიჭვების რკალი -
მისთვის საუნჯეს უნდა ნიშნავდეს, -
ჩვენი თვალები ვინც გაადაკრა -
თავის ქათათა, მყუდრო ნიჟარებს.

ზღვის ლექსი

ფსკერი, და მერე ზედაპირი
და ისევ ფსკერი, -
სანაპიროდან ზღვაში ვაბრუნებ
კენჭებს და ვწვები
პირიზონტის გასწვრივ,
მზისკენ პირმიქცეული.
უნდა გაემუქდე
ჭრელა-ჭრულა პირსახოცები,
ზღვის ქოშები, სათვალეები -
მაღე სულმთლად ფარავენ ნაპირს;
ბათუმიდან - ჩრდილოეთით მიიწეოს ზოლი -
სავსე - ბავშვების ჟრამულით,
ჯიბის რადიოს მუსიკით,
გრლი მკერდის ტალღით, -
ენგურისკენ მოძრაობს, ვიდრე
მდინარის - ზღვასთან შენაკადი
მორეგში არ ჩაითრეკს და დაატრიალებს.
მაშველ რგოლებს
ისევ ბათუმში გამორიყავს ზღვა.
მე ვწევარ თვალდაზღუდული.
მე არ ვარ ზღვის ბავშვი,
მე ხმელეთიდან მოვედი, სადაც
ზღვის ფრინველებს, თევზებს და წვალმცენარეებს
ატლასებში ჩავცქერიდი ცნობისწაღილით.
ზღვას თუ უნდა, შეუძლია - მიშვილოს,
მომწვდეს მუხლებამდე, მხრებამდე,
სულმთლად გადამფაროს.
მისი ნიჟარის მარგალიტები,
ჩამირული ზომალდების ფლოტი -
დაე თვალში გაბრწყინდეს.
ზღვის ბავშვეო, - სადაც, -
ხმელეთის სიღრმეში რომ
ზღვა გეისზმრებათ, -
მე თქვენი და ვარ, -
მე ვიღვიძებ მიტოვებულ
სანაპიროზე და დამწვარ სახეს
ზღვისკენ ვაბრუნებ.



სპარსული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნას იმდენად დიდი ტრადიცია აქვს, რომ ამ მწერლობის საუკეთესო ნიმუშები ქართულად ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში ითარგმნა და ჩვენის ისეთი ფართო პოპულარობა მოიპოვა, რომ "შაჰნამეს", "ვისრამიანის", "ლეილ-მეჯნუნისა" თუ სხვა დიდებული ნაწარმოებების ქართული ვერსიებიც კი შეიქმნა. თარგმანის ეს დიდი ტრადიცია მეტნაკლები ინტენსივობით საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა; უფრო მონეს-რიგებულად, კულტურტრეგერული ფორმა კი მეოცე საუკუნეში მიიღო, როცა ამბაკო ჭელიძის, დავით კობიძის, ალექსანდრე გვახარისა, ვახუშტი კოჭტუხიშვილის, მაგალი თოდუას, გიორგი ლობჯანიძისა თუ სხვათა ღვაწლის შეოხებით ჩვენმა მკითხველმა კიდევ უფრო შეიტკბო და შეიყვარა ისედაც გაშინაურებული სპარსული მწერლობის სატოვანი ჩუქურთმები. ტრადიცია გრძელდება დღესაც და "არილის" წინამძებარე ნომერიც შეიძლება ამ სიტყვების დასტურად გამოგვადგეს. ჩვენი ჟურნალი ძველი თუ ახალი ირანული მწერლობის თარგმანთა გამოშვებურ-ებით შეეცადა წარმოეჩინა ქართველ მთარგმნელთა სამი თაობის წარმომადგენელთა ნამუშევარი და ამით აღმოსავლური და კერძოდ სპარსული სალიტერატურო პროცესებით დაინტერესებული მკითხველისათვის თავისებური მაშრიფული არმაღანი მოგვერთომა.

"არილი"

ალმასნარე ვახსარი

"ვისრამიანი"

ქართული მთარგმნელობითი ოსტატობის მწერალი

"ცეცხლი კვლავ მწვავს დაგულსა, მალნიტებერ მზევ დაგულსა, მარავს ვისი მწუხარებებს, რამინ ეტრფოდა გულსა".
ნაწყობი ბაითისა, ორმელიც მიენარგოვად ბასის

...ცხრა საუკუნეა, მწუხარებს ვისი რამინის გარეშე, რამინი კი მოჩვენებით ეტრფის გულს, სიყვარულით კი მხოლოდ ვისი უყვარს. "ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია" - ცხრა საუკუნეა ექოსავით გადმოდის უიმედო შეყვარებულის ეს გამწარებული გოდება და ოდნავადაც არ შეწყლებულა მისი ზეგავლენის ძალა. შემთხვევითი არაა, რომ ეს სიტყვები ყველაზე ადრე და თანაბარტონალობაში სწორედ ჩვენში აიტაცეს თითქმის დანერგის უმაღ. XI საუკუნის შუა წლებში უცნობი ჭბაბუკი პოეტის ფახრ-ედდინ გორგანის მიერ ფალაურ სიუჟეტზე დანერგილი სამიჯნური პოემა "ვის ო რამინ" ("ვისი და რამინი") უკვე სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ითარგმნა ბრწყინვალე ქართული პროზით და ეს ქართული თარგმანი - "ვისრამიანი" იმდენად მაღალშტატურული და დიდოსტატური ძეგლი აღმოჩნდა, რომ ორიგინალის ტოლფარდი როლი შეასრულა ქართული საერო მწერლობის განვითარების ისტორიაში. ყველაფერს რომ თავი დაეხებოთ, სამჯერ დაიმონმა გენიალურმა რუსთველმა ამ რომანის გმირები "ვეფხისტყაოსნის" გმირთა განცდებში გადმოსაცემად:

"იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა".
"ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა".
"ნუ ეჭვ მიჯნურთა მათებრთა ნუცა თუ რამინს და ვისსა".

ამჯერად არ ვაპირებ ამ გმირთა და მათ მიერ მიჯნურობის განსხვავებული ვაგების შესახებ მსჯელობას, ისევე, როგორც "ვის ო რამინისა" და "ვისრამიანის" შესწავლის ისტორიის გადმოცემას. ეს უკანასკნელი, მდიდარ საილუსტრაციო მასალასთან ერთად განხილული მაქვს წერილში, რომელიც, იმედი მაქვს, გამოქვეყნდება ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალ საინტერესო ჟურნალში "ლიტერატურა და სხვა" (მთავარი რედაქტორი ამირან გომარეთელი).

აქ კი, ჩემთვის ძალზე ახლობელი "არილის" ფურცლებზე მინდა მის მკითხველს წარმოვუდგინო და მასთან



ერთად მოვიხიბლო კიდევ ერთხელ რამდენიმე ნებისმიერად აღებული მაგალითით, რომელნიც ნათლად წარმოჩენენ სპარსული ავტორის ნიჭსა და მისი კონგენიალური ავტორ-მთარგმნელის (ნიკო მარის ტერმინია) ოსტატობას. ქართული მთარგმნელი (გვიანდელი და საექვო ტრადიციის მიხედვით სარგის თმოგველი) ზუსტად გადმოსცემს დედანს, ცდილობს შეინარჩუნოს მისი როგორც სიტყვა, ისე სულისკვეთება და ამავე დროს დაცვას ქართული ენისა და სტილის თავისებურებას.

"ვისრამიანი" ქართული პროზის სრულად ახალი ეტაპია, რომლის გამოთხილს ვხვდებით არა მარტო ენ. "აღორძინების ეპოქაში" (სულხან-საბას "სიბრძნე სიკრულსა"), არამედ ჩვენს დროშიც (გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია). "ვისრამიანის" სტილი ლაკონური, გამჭვირვალე, მსუბუქი და ექსპრესიული, დღესაც რომ თანადროულად ელერს: "ანაზღად მასვე ნამსა ზღვისაგან შავი ღრუბელი გამოვიდა. ნათელი დღე იყო, მზიანი, ჰამო და მაშინვე, თუ სთქვა, შეღამდა. ასრე დაბნელდა ქვეყანა და ქარი მიდი დადა და მტვერი დიდი შეიქმნა, რომელ ერთმანეთსა ვეღარ შევდივდეს, მექირნილენი აიშლენს და აიყარნეს".

შინაგანი რიტმი, რომელიც ისე მძლავრად ძვრის, რომ ხშირად ამკრავდნენ ივანეშვილი ცალკეული სიტყვისა თუ მარცვლის მეტობა ან ნაწლებობა, ზოგჯერ თითქმის ნაღველავს პროზის ფუნქციებს და თითქმის საღელქეს ტაქტის სახით გვევლინება: "შოახსენე ჩემმაგიერ ნაძვსა ლამაზმო-არულსა"; "აიღე შენი საგანი, რომელ ვერ ეცეს ისარი" ("საგანი" აქ სამიზნეს ნიშნავს); "ამათ დღეთა ნაუზმები სრმალი ჩემი გესტუმრების" და ა.შ. პოეტურ შთაბეჭდილებას აღივრცელა აძლიერებს: "რამინის პირი და ტანი ან ყვითელ-თეთრი ვარდია და ვარდისა ხისა მანყენი მინყით სცივია".

აქვე ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. დიდი ხნის წინ (ღმერთო ჩემო, მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი გასულა), როდესაც მაგალი თოდუხათან ერთად "ვისრამიანის" ახალ კავადმეორე გამორცემას ვამზადებდით და თავიდან ბოლომდე ვუდარებდით ქართულ-სპარსულ ტექსტებს, ჩემი აღტაცება გაუზიარე შესანიშნავ პოეტს, მთარგმნელსა და მკვლევარს თამაზ ჩხენკელს. გამაოცა მისმა პასუხმა: "ვისრამიანი" არ ნამიკითხავს, დედანთან შეპირისპირებით მინდა მისი განცნობა. თამაზს "სპარსულ ენის სიტკბო" უზივრისიტტში დაჭაპნიკებული ჰქონდა, ამდენად, ბუნებრივი იყო მისი ეს სურვილი. შევთანხმდით კიდევ ასეთ პარალელურ ნაკითხვავზე (მაშინ ამ შესაძლებლობას გვაძლევდა მისი მკუფრო შუშაბანდი), მაგრამ "ვაპ, დრონი, დრონი..." ახლა, ცხადია, ნაკითხულიც აქვს და საკუთარ მთარგმნელობით მოღვაწეობაში, ალბათ, გამოყენებულიც; და მაინც, ამ მოკლე ექსცერპტის, ისევე, როგორც მისი სრული ვარიანტის უპირველეს მკითხველად თამაზ ჩხენკელს ვგულისხმობ.

"ვის ო რამინ"

"შენი სიყვარულისაგან სედიანი და მოუსვენარი ვარ, შენზე დარდისა და მოთქმისაგან სულს ვაბარებ (ვლავაჲ). ზარით მოუთქვამ დღე და ღამე, გიჟივით ბარსა და მთაში დაეცხეტები.

"ვისრამიანი"

"მიჯნურობისა და-სიყვარულისაგან კვადები. დღე და ღამე კტირი აღდრეჯილი, ვითა შშავი და მტყრინანი ვცურავ შენისა გონებისაგან".

პირველი ბეითი (ორსტრიქონედი, მრჩობლდედი) სპარსული ტექსტისა ქართულის ერთ ლაკონურ ფრაზაში მოთავსდა. სპარსული "ეშუ" ("სიყვარული", შდრ."ეშვი") ქართული სინონიმურ ნიყვილად ("მიჯნურობა და სიყვარული") იქცა. ზუსტად არის გაგებული და გახსნილი სპარსული იდიომი "სულის ჩაბარება" - "კვადები". ქართულ თარგმანში არა გვაქვს სპარსული შრავალსიტყვაობა (სედიანი, მოუსვენარი, დარდი, მოთქმა), სამაგიეროდ "დივანე" ("გაიჟი") გადმოცემულია აგრეთვე სინონიმური ნიყვილით - "შმაგი და მტყრინანი" (შდრ. "ვეფხისტყაოსნის" "მიჯნური შშავსა გვიქიან" და "მტყრდაცემული ვეგონე", ე.ი. "პნიქიანი, ეპილეპსიით დაავადებული"). დაბოლოს, "დავან" ("მორბენალი, მოხეტიალე") "ცურავ/ცორვად" ("სირბილი,



ქენება") ითარგმნა (შდრ. "ვეფხისტყაოსნის" "სიარულს, ცუდი ცურავ"; "მინდორს აცორვებს ტაიქსა").

"ვის ო რამინ"

"ღისით ჩემი დარდის გამშობარებელი მშეა, რადან ჩემი ღაწვებით ნათელია და ელვარე. ღამით შენი დარდის გამშობარებელი ვარს კვლავცაა, როცა მათ ვუჭკრებტ; შენს კბილებს ვადარებ".

"ვისრამიანი"

"ღისით მშეა ესკვრეტ შენის მსგავსებისათვის და ღამით - სიბნელსა შენათვე თმთა სახეებისათვის".

სპარსული დედნის ორი ბეითი (ოთხი ტაევი) ერთ ქართულ ნინადიდებაში მოთავსდა, თანაც მეორე ნახევარი ისე რადიკალურად შეიცვალა, შეიძლება კაცმა იფიქროს, სხვა ტექსტი ხომ არ ჰქონდა მთარგმნელს (თავისთავად ახალი და მოულოდნელი შედარება ვარს კვლავცაა სპარსულ კბილებთან შეიცვალა ღამის სინელის მიჯნურის შვებ თმებთან ბუნებრივი მიმსგავსებით).

"ვის ო რამინ"

"კაცი, რომელიც შორსა კარგი ღვინისგან, თუ ღურღოს დაღვევს, ეპატიება".

"ვისრამიანი"

"ვისცა მურავაყიანი ღვინო არ მიძვკვებოდღეს, თხლის სმა არ ებრალებს".

სპარსული დედნის "შეი ხოშ" ("კარგი ღვინო") ქართულ თარგმანში "შურავაყიან ღვინოდ" იქცა. ჩანს, არაბმა. "შორავაყ" ("წმინდა, კამკამა") უკვე შემოსული იყო ქართულში. სპ. "დორი" ("ნაღვეი, ღურღო") ქართული შესატყვისით - "თხლითა" გადმოცემული. საინტერესოა გამოთქმა "არ ებრალებს" (ე.ი. ბრალად არ ედება, დანაშაულად არ ეთვლება), რაც ზუსტად გადმოგვცემს დედნის "მაყზურ" ("ეპატიება").

"ვის ო რამინ"

"ზოგჯერ ჯაჭვის პერანგში ხმალი წყალივით შევა, ზოგჯერ თვალეში ისარი ძილივით შევა. ზოგჯერ შუბი მკერდში სიყვარულივით შევა, ზოგჯერ ნაჯახი თავში გონებასავით შევა. იცოდა თითქოს სისხლისმშემლმა მახვილმა, სული სხეულში სად დაამკვიდრა ღმერთმა. იმავე გზით, რა გზითაც მკვიდრი შევლა, აღამიანთავან იმავე გზით სული გამოვიდა. ღრუბელივით იყო ინდური მახვილი, მივან წვიმდა არაღვანს ნიაღვარი. [როგორც მირტის ტოტზე ბროწეულის ყვავილი, როგორც ბროწეულის ფურცელზე მარცკალი]. ბძობილაში შუქი თერძივით იყო, მებრძობლებს უნავარს აკერებდა ზოლმე".

"ვისრამიანი"

"ზოგჯერ ჯაჭვის შივან სრმალი შევიდის, ვითა წყალი, ზოგს თვალთა შივან ისარი შეეპარის, ვითა ძილი.

ზოგს გულსა შვიან შეუქი შეეპაროს,
ვითა სიყვარული,
ზოგს თავსა აფთი შევიდის, ვითა ტვინი.
თუ სუნთქვა, ზრამალმან იცოდა
თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შვიან სად დაამკვიდრა.
მასვე კვალსა მახვილი შევიდის,
და მის კვალისაგანვე სული გამოვიდის.
ღრუბელსა ჰკვანდა ღურჯას ბასრის ზრმალი,
მაგრა წვიმა და ღვარი მისი წითელი იყვის.
ომსა შვიან ისარი მკერვალსა ჰკვანდა,
მკერვალისაებრ შეაკერის ზორცი უნაგირსა”.

მოაბადის ბრძოლის გრანდიოზული სურათია დედან-
ში და არანაკლებ შთამბეჭდავია მისი ქართული თარგ-
მანი. სპ. “თაბარ” (“ნაეჯიბი”) გადმოღებულია ქართული
“აფთით” (საბა: “მახვილია ბრტყელი და ტარგრძელი”),
“ინდური მახვილი” (“თიღე მენდოვანი”) - “ღურჯი ბას-
რის ზრმლით” (ბასრა ქალაქი არაბეთში ცნობილი იყო
ფოლადით და მისგან დამზადებული მჭრელი ხმლებით.
სდრ. ქართული “ბასრი”). სპ. “დერზი” (“თერძი, მკერავი”)
ჯერ არ იყო შემოსული, შესატყვისად ქართული “მკერ-
ვალი” გვაქვს. ქართულის მიხედვით ერთი ბეითი სპარ-
სულში გვიანდელი ჩანამატი ჩანს.

“ვის ო რაჟინ”

“რა საჭიროა ჭაბუკის სისხლის დაღვრა,
რომელსაც შენთვის არასოდეს მოუყენებია ზიანი”.

“ვისრაჟინი”

“მაგრა არა ხაშს, შენმან მზემან, არა ხაშს
ესეთისა ყმისა კაცისა სისხლთა დაღვრა და მოკლვა,
რომელსა დღეთა მისთა შვიგა შენ და არა შეუცოდებია!”

აქ ქართული თითქოს უფრო სიტყვაუხვია, მაგრამ ეს
მრავალსიტყვაობა გამართლებულია და განპირობებული
სპარსული ტექსტის ალიტერაციით: “ქე შარგეზ ბარ თო
ნამად ზუზიანი” (“რომ არასდროს შენ არ მოგვლია მის-
გან ზიანი”). ქართულ თარგმანში იგი კომპენსირებულია,
ერთი მხრივ, რიტმული განმეორებით (“მაგრა არა ხაშს,
შენმან მზემან, არა ხაშს), მეორე მხრივ, ფრაზის დაბო-
ლოების არანაკლები ალიტერაციით (“რომელსა დღეთა
მისთა შვიგა შენდა არა შეუცოდებია”).

“ვის ო რაჟინ”

“მეუბნები, მოთმინებაშია შენი ხსნა,
რა ადვილია ბრძოლა მაყურებლისთვის”.

“ვისრაჟინი”

“შენ ეგრე მტყვეი, დათმობისა კიდე ღონე არა გაქვსო,
ადვილია მხედველთაგან მყომართა ჭკერტა”.

ცნობილი ანდაზა არა მარტო ზუსტადაა გადმოღებუ-
ლი, მეორე ნახევარში საღუქსო რიტმიც კი შენარჩუნე-
ბულია (სრდ. “ვეფხისტყაოსანი”: “სხვა სხვისა ომსა ბრძე-
ნია”).

მაგალითების გამრავლება უსასრულოდ შეიძლება,
შთაბეჭდილება კი, მინდა იმედი ვიქონიო, ერთია: ყოვე-
ლი მათგანი ძვირფასი თვლივითაა, რაც უფრო ატრია-
ლებ ხელში და აკვირდები, მით უფრო მდიდარი ფერ-
ბი ელვარებენ მის წახანაგებზე.



სახელით ღვთისა, სულისა და გონის უფლისა,
აზრთუწვრთნელისა, მეუფისა ორთავ სოფლისა.

ვინ არს უფალი სახელთა და ფოვლთა ადგილთა,
ვისგან გზანი და კაცთ არსობის პური დადგინდა.

რომელმან შექმნა ცა, მიწა და ცათა სფეროზე
აღმობარწყნისა თვით მზე, მთვარე და ასპიროზი.

იცოდე, თვალთ მისი ხილვა თუ მოგინდება,
ვერ რას გაზნებო, თვალნი ფუჭად დაკეპინდება.

ყოველ დგმათა და სახელთ მიღმა ჰგეის რომელი,
იგი არს კაცთა აზრისათვის მიუწვდომელი.

ხელვერეწიფვის სიტყვის მისთა გზათა მიგნება,
აზრი და გონიც ამა გზაზე უძლურ იქნება.

რამეთუ გონი იმას ურჩევს სიტყვას და სახელს,
რაც მის მიერ იხსლვების, ოდენ მას ამხელს.

მას, ვერსახილველს, ვით შეასხას კაცმა ქებანი?
ხაშს, მსახურებელს, მას ჰმონებდეს, იგზნოს ვენბანი.

ამქვეყნად აზრი და გონება, სული და ენა
როგორ შესძლებენ, ღირსეულად ადიდონ ზენა?!

ხაშს, აღიარო და იწამო არსება მისი,
ხაშს, განირილო უქმი სიტყვა შენი თუ სხვისი.

თავყანი ეც და მართებული გზანი ეძიე,
შინაგან მზერით მის მცნებათა სიღრმეს ეწიე.



ვისაც ცოდნა აქვს, ის იქნება ძალგულოვანი,
ცოდნისგან კვალად ჭბაუკლდა გული მსცოვანი.

სიტყვას არ ძალუმს გარღვიოს გრძნეული გარსი
და აზრს, რომ ასხნას იღუმალი არსობის არსი.

ჰოი, საწუთროვ, შენ ხარ მრავალ ჭმუნვათა მქენი,
ამქვეყნად განა გონიერი იხარებს შენით?!

აღამიანო, თუგინდ, მართლაც, გწყალობდეს ბედი,
თუგინდ მოგაგოს ქვეყნად დღენი შენ სხვებზე მეტი,

იცოდე; რასაც მოვანიჭებს, ვართმევს იმწამსვე.
მიწით ნაშობი უბრუნდები ისევ მიწასვე.

გინდ მეფე იყავ დიდებული და თუგინდ მონა,
როგორც კი შენს სულს მოცილდება სხეულის წონა.

ჭრინსაც და ღზინსაც ერთიანად წარიღებს ქარი,
ქვეყნად ვინ ჰპოვა მარადისი სადგომი მყარი?!

ნეტარ არს იგი, ვისაც დარჩა ქვეყნად საჩელი,
სიკეთეს ძალუმს, წარმავლობის დაჰკმობს ნალექელი.

გინდ მეფე იყავ და გინდ მონა, ორივე ერთია,
თუ მადლს მოისხამ, შენი შემწე მაშინ ღმერთია.

განა არ არის კაცთა მოდგმის ბედი და წერა?!
ბრძენი არ არის, ვისაც მისი რაიმე სჯერა.

სამართლიანად გაატარე მთელი ცხოვრება,
შენი სიკეთე მაშინ ყველას ემასხორება.

და თუ ავიტანს თინიანი ზრახვები ხარბი,
შენივე ხელით მოგესწრაფვის დღეები ჭარბი.

გახსოვდეს, ვერვინ გადურჩება ჭაბოთა სიკვამს,
მიწიდან მიაჭეს ყოველივე და ანიაკვებს.

ყველას მოგველის ჩვენ სიკვდილის რისხვა მარადი,
თავს გინდ გვირგვინი გვიმშვენებდეს, გინდ მუზარადი.

სიკვდილი ყველას სათითაოდ მოგვიწვევს რიგით,
მაგრამ ამქვეყნად არვინ უწყის, რა გველის იქით?

ვინ არის ქვეყნად, ვისაც ბედი არ ერგო შავი?
სხვას რას მისტირი? დატირიე შენივე თავი!

რამდენ ხანს დაჰყოფ, ამის გამჟვე მხოლოდ ღმერთია,
მივეხეტებიოთ დაფანტულნი, გზა კი ერთია.

წუთისოფელმა მოგვივლინა სვე-ბედის ელჩი,
გვირგვინს რომ გვიწვდის, ქამანდი აქვს მეორე ხელში.

როგორც კი იგრძნობ, რომ გვირგვინის მფლობელი გახდი,
როგორც კი ოდნავ აგამადლებს სამეფო ტახტი,

წამსვე მიხვდები, რომ ქამანდიც მოგაჭლო აქვე
და განწირული უმოწყალოდ დაქანდი თავქვე.

ჭკვიანი კაცი ამ საწუთროს არ მიენდობა,
მას არც დანდობა შეუძლია და არც შენდობა.

როგორც კი გულში დღევგრძობობის გაივლებ იმედს,
სამარის ღოდად დაგაწვევა იმწამსვე მიიმედ.

რატომ ან რისთვის? იმან თვითონ არც იცის, მგონი,
ამ კითხვებისგან დაცლილია იმისი გონი.

მან არც კი უწყის, რად დაღამდა ან რად იცისკრა?
თავის ბრუნვისა იმან თვითონ არა იცის-რა.

ასეთი არის მაცდურ ქვეყნის წესი და რიგი,
ყოველ ზეობას ქვედამზობით ამთავრებს იგი.

დასაბამიანდ მუდამ ასე ბრუნავს ცარგვალი,
ხან ბრძოლას საზღვრავს, ხან მშვიდობას ბედის ფარგალი.

ერთს აღაზვეებს და ახარებს მიუღ იმის მოდგმას,
ხოლო მეორეს არ აკმარებს ზარსა და მოთქმას.

ერთს ტახტზე დასვამს, ოქრო მოსწვივს ისე, ვით შავი,
ხოლო მეორეს მიწა ჰხვდება ცივი და შავი.

ერთს - საგანძური, სრა-სასახლე მუქთად და უქმად,
ხოლო მეორეს - გულის სისხლში ნადობი ღუქმა.

ერთს ანებიერებს ბედ-იღბალი ყოვლის მომრევი,
მეორეს - ხანა ვეშაპისა და ზღვის მორევი.

გოგინა ბანჯული XII საუკუნე

ბედი არც ვინმეს მტერია და არცა მოყვარე,
თუნდ შეებძოდლე, თუნდ მონურად ქელი მოხარე,

ვერას გახდები, გული უნდა ფუჭად დაღალო,
იმაზე მაღლა მხოლოდ შენ ხარ, ღმერთო მაღალო!

შენგან ვკაქვს ღვინავ და ნადველიც გულთა აძკლები,
ზოგს მეტი ჰხვდება ყოველივე და ზოგს ნაკლები.

შენ ხარ ყოველი, ხან ზენა ხარ და ხან ქვენა ხარ,
არ ვიცი ვინ ხარ, მაგრამ რაც არს ქვეყნად, შენა ხარ!

რულაძი X საუკუნე

ილხენდე ლამაზ შავთვალასთან ხალვითად მჯდარი,
წუთისოფელი ზღაპარია და ნიავე-ქარი.

რაც უნდა მოხდეს, მას ყოველთვის შეხვდი ხალისით,
რაც უკვე მოხდა, დაივიწყე, უქციე მხარი.

მე და ის - ამბრის სურნელებით დაღალაშლილი,
მე და ის - სახით მთვარისა და ფერის დარი.

ბედნიერია, ვინც ირგო და უხვადაც გასცა,
უბედურია, ვინც სიამეს მიუხშო კარი.

ვაგლახ, ქარი და ღრუბელია წუთისოფელი,
მოშეცი ღვიწო და დავლით, რაც არი, არი!

ძლიერთა ამაქვეყნისათა დადრიკეს ქელი,
ველას მოეჭლო განურჩევლად სიკვდილის ღველი.

მიწად დაინთქა, ვინც იწვედა ზემით და ზემით,
სურდა, ზეცამდე აეწვდინა კოშკი თუ სვეტი.

ათას-ათასი წყალობიდან, რაც ჰქონდათ ქვეყნად,
ბოლოს და ბოლოს რა წაიღეს, სუღარის მეტი?!

შერჩათ, რაც სცვითეს, რაც გასცეს და თავად შეირგეს,
ვაგლახ, ეს არის კაცთა მოღმის წერა და ბედი.

მოიციქულთაგან წილად მერგო ჭეშმარიტება
და რაღად მინდა მე ელინთა დამშრალი წყარო?

სული ზორცისთვის რად ვაწამო? სულს ამაღლებულს
მე როგორ ვკადრო, რომ ძაღლებს ფარეში ხარო?!

იოსებივით დამატყვევა მშენიერებამ,
ლამაზი ღვექით ბულბულივით ვილხენ და ვხარობ.

ძლიერთა ამაქვეყნისათა მე კარგად ვიცნობ
და აღარ მინდა მათ წინაშე კვლავ ქელი ვხარო.

იმედის ნაცვლად დამრჩა მხოლოდ აპოუბა,
და აღარ მინდა, სინანულის ცრემლები ეღვარო.



ამა ქვეყნად ორი გზაა,
მაგრამ ჩემი რომელია?
ერთი გზა მეჩეთისა,
სადაც აღარ მომელიან,
მეორე კი გზა ღვინის,
სადაც სარდაფია ღვინის,
მაგრამ იქაც ჩემი გული
მარად დაუღვომელია.
მეჩეთსა და სარდაფს შუა
იდუმალი სხვა გზა თუა,
ჯერ არ ვიცი ცხადლოვ, მაგრამ
გუჰმანით ვგრძნობ, რომელია.
იქ მეგულვის და იქ მივის
ჩუმი გაეღვება სხივის,
სადაც სიყვარული ღვივის,
სული დაუცხრომელია.
შენ კი ვანა იზამ იმდენს,
რომ მიხვიდე ნ ი ზ ა მ ი მ დ ე
და შესძახო: ჭეშმარიტი
გზა, მითხარით, რომელია?!

მოჰამადალი ესლამი ნოდუშანს ქართველი მკითხველი იცნობს სატირული რომანით "სიცრუე და ჯადოქრობა" (1986 წ), რომელიც მან მოჰამად დიდევარის ფსევდონიმით გამოაქვეყნა. მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის უცნობია ამ ავტორის ესეისტური და პუბლიცისტური ნაშრომები. მ. ესლამი ნოდუშანი პროდუქტიული მთარგმნელიც არის და დრამატურგიაშიც უცნობი ბედი. მისი ნაშრომების ძირითადი თემებია: ირანი და ირანელები, მათი ადგილი მსოფლიო ისტორიასა და დღევანდელ მსოფლიოში, დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობები, კულტურისა და თანამედროვე მორალის საკითხები.

ერთად იგი წერს: "თანამედროვე ინდუსტრიული ეპოქის კაცობრიობა ისე გამოიყურება, თითქოს ცალი ფეხით ურემზე გამოუბამი, ცალით კი - კოსმოსურ ხომალდზე: მეცნიერების თავსაზრისით წინ არის წასული, ხოლო ზნეობის მხრივ - უკან". ეს თემა და, აგრეთვე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთმიმართების საკითხი ორი უძველესი ეპოსის "ილიადასა" და "შაჰნამეს" მაგალითზე განიხილება წინამდებარე ესეში, რომელიც გამოქვეყნდა კვარტალურ გამოცემაში "გოლესთან" (ტ. II, N4, 1999.) ეს გახლავთ ჩრდილოეთ ამერიკაში სპარსული ენისა და ლიტერატურის გავრცელების საბჭოს ორგანი.

მოჰამადალი ესლამი ნოდუშანის ამ ნაშრომში განხილული საკითხები მეტ აქტუალობას იძენს ირანის ისლამური რესპუბლიკის რევორმაციური პრეზიდენტის მიერ მსოფლიო საზოგადოებისთვის შეთავაზებული "კულტურათა დიალოგის" ფონზე.

მთარგმნელი სპაბე

მოჰამადალი ესლამი ნოდუშანი


ირანელები და ბერძნები "შაჰნამესა" და "ილიადას" მიხედვით

საკითხი ასე დგას: შეგვიძლია თუ არა ორი უძველესი ეპოსის "ილიადას" და "შაჰნამეს" ერთმანეთის გვერდით დაყენება და ორი ერის - ბერძნებისა და ირანელების ხასიათისა და ბუნების, მათი მსოფლმხედველობის შესახებ რამე მტკიცებულების მოპოვება? ვფიქრობთ, შეგვიძლია. მიუხედავად გარეგნული ფორმისა, ეს ისეთი საკითხი როდია, რომელიც მხოლოდ წარსულს მიეძღვრება, არამედ იმავე დროს, იგი მოიცავს დღევანდელთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას - თანამედროვე მსოფლიოში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთმიმართების საკითხს.

"შაჰნამე", მისი შექმნიდან მოყოლებული დღემდე, ირანისათვის მუდამ თანამედროვე წიგნად რჩებოდა. ახლაც ასეა. და როცა მას "ილიადას" გვერდით ვთავსებთ, ჩვენი თვის გარკვეულწილად ცხადფყოფთ, თუ როგორ უცხოვრია და უფიქრია დასაბამიდან აღმოსავლეთის და დასავლეთის.

საკუთარი ფესვების შესაცნობად ჩვენ არ გავაწინა "შაჰნამეზე" უფრო ძველი, უფრო მნიშვნელოვანი და უტყუარი საბუთი და, შეიძლება ითქვას, ახლა სწორედ რომ შესაფერისი დროა მის ახლებურად წასაკითხად, რადგან ვდგავართ წარსულისა და აწმყოს გასაყვრად. აწმყოს ეტაპზე შესაბამისად საკუთარი ძალები უნდა შევფასოთ. დასავლეთი აღიარებულია განახლების, მეცნიერებისა და აღმოჩენების წარმომადგენლად, ჩვენც იმ ზღვარს მივადევით, როცა შეუძლებელია არ გვჭირდებოდეს განახლება, მეცნიერება და აღმოჩენები. საქმე ისაა, როგორ შევვებებით მას.

უკანასკნელ წლებში გახშირდა საუბარი "კულტურული ექსპანსიის" შესახებ, მაგრამ ეს არც დღევანდელი პრობლემა და არც გუშინდელი. ორმოცდაათი წელი მაინც იქნება, რაც ეს თემა ტრიალებს. სხვათა შორის, ახლა "შაჰნამეზე" ესაუბრობთ და ვითარება რამდენადმე მსგავსია იმდროინდელისა, როცა ეს ნაწარმოები შეიქმნა. მაშინ ჩვენ ომიანებისა და აბასიანების მხრიდან უპატივცემულობითა და ქედმაღლობით ვიყავით გარემოცული და საქირი იყო საკუთარი პლატფორმის თაობაზე ხმა-მალა გამოვცხადებინა. ახლაც დასავლეთის წინაშე თავდავითი პოზიციებზე ვდგავართ. შექმნილია ერთგვარი გლობალური კულტურა, რომელიც დასავლეთშია აღმოცენებული. მაგრამ, ფაქტობრივად, ეს მხოლოდ კულტურა როდია, მასში ანტიკულტურაც არის, ეკონომიკაც ჩათრეული აქვს, ახალგაზრდებსაც ძვირებისა და მიღლევა-



რების მსხვერპლად აქცევა, წარმატცი სახე აქვს. ამიტომაც მართებული არ იქნება, მის წინაშე ბუღ-ხელი და-ვიკრიფოთ.

ის, რასაც ვამბობ, არ წინავე დასავლეთის წინააღმდეგ ურორტის გახსნას. ის თავის საქმეს აკეთებს და ჩვენ ჩვენი უნდა ვაკეთოთ. ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე მრავალჯერს გაისმა გაფრთხილება ამის თაობაზე, მაგრამ არ იქნა შესწენილი. თუ საკითხს სერიოზულად მოვეკიდებით, ლოზუნგებს თავი უნდა ვანებოთ და სწორ გზას დავადგეთ. დასავლეთი მეცნიერებას წარმოადგენს, მეცნი-

ერებს კი ვერაფერს უარყოფს. შეიძლება ვიშვებოთ მეცნიერების გამოყენებაზე და მის თანხედენაზე საზოგადოების ჯანსაღი განვითარების პროცესთან.

რაც შეეხება გამოყენებას, აქ საჭმე რამდენადმე მოიკოფლებს: ავილო, გარემოს მდგომარეობა, ფსიქიკური დარღვევები ოჯახისა და საზოგადოების დონეზე, ყელის გამოჭრა, ავთოტეპები, ქალაქების სულისშემუთავი კონცენტრაცია, ადამიანის უპირველესი უფლებების დარღვევა... ეს ზღაპრია წვეთია.

ირანი აზიის ერთ-ერთი ქვეყანაა და ამავე დროს მსოფლიო ოჯახთან დაკავშირებული. მაგრამ ეს არის მეტად რთული ინდივიდუალობის ქვეყანა, რომლის მსგავსი ძნელად თუ მოიძებნება. ეს თავისებურება მის სიძველეში, მწყობარ კულტურასა და მტკიცეულ ისტორიულ გამოცდილებაშია. სწორედ ამ სირთულის გამო არავის მოუცია თავისთვის უფლება, ისე წარმოედგინა იგი, როგორც სინამდვილეში არის. ამიტომ ბევრი ურთიერთგამორიცხავი რამ თქმულა მის შესახებ.

ახლა ამ მშობლივარ სამყაროში თუკი გადავწყვიტებთ, რომ მომავლისაკენ ვიქცეთ პირი და მსოფლიოს სცენაზე შევასრულოთ ის როლი, რომელიც ამ დიდ ქვეყანას შეეფერება, უპირველესი პირობა იქნება საკუთარი სახის დაბრუნება და საკუთარი თავის შეცნობა. აბულყასიმ ფირდოუსიმ ათასი წლის წინ თქვა:

უპირველესად უნდა იფიქრო, რომ უღირსი ხარ, მაგრამ საკუთარ თავს ავადებიო ნუ მოეყრები.

რას ნიშნავს "საკუთარ თავთან ავადებიო არ მოეყრება"? - ე.ი. საკუთარი თავის სერიოზულად აღქმა ანუ საკუთარი რაობის იმ სახით დაფასება, როგორიც არის, ოცნებებში გადავარდინა და დროის ფლანგვისათვის თავის არიდება და, ცხადია, საკუთარ ნაკლფანებზე თვალის არ დახურვა.

